შესავალი სიტყვა რედაქტორისგან

ჟურნალის აღნიშნული ნომრის მომზადება პანდემიას დაემთხვა. ამ პერიოდმა აკადემიურ სივრცეშიც უამრავი პრობლემა წარმოშვა, რომელიც დაკავშირებული იყო არა მხოლოდ დისტანციური და შერეული სწავლების მეთოდების სწორ ადაპტაციასთან, არამედ უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკის ჩაკეტვით გამოწვეულ ფინანსურ გამოწვევებთან. კერძოდ, უამრავი ნიჭიერი ახალგაზრდა ეჭვის თვალით უყურებდა სწავლის საფასურის გადახდის პერსპექტივას ე.წ. ლოქდაუნის პირობებში. ისინი განაცხადში მიუთითებდნენ საქართველოში, ასევე, აღმოსავლეთის პარტნიორობის რეგიონის სხვა ქვეყნებში სტუდენტური სამუშაოების გაქრობით გამოწვეულ პრობლემებზე. თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სახელით მინდა, გულითადი მადლობა გადავუხადო კონრად ადენაუერის ფონდის სამხრეთ კავკასიის ოფისის ხელძღვანელს დოქტორ თომას შრაპელს და მის გუნდს უნიკალური სასტიპენდიო პროგრამის დაწესებისთვის. ფონდის ინიციატივით შერჩეული იქნა თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა და მისი მომავალი სტუდენტები. სამსაფეხურიანი კონკურსის საფუძველზე გამოვლინდა შვიდი ქართველი, სამი სომეხი, სამი აზერბაიჯანელი, ორი უკრაინელი და ერთი მოლდოველი გამარჯვებული. კონრად ადენაუერის პრესტიჟული სტიპენდიის ფარგლებში თსუ ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამაზე შერჩეულ საუკეთესო შედეგის მქონდე სტუდენტებს მთლიანად დაუფინანსდათ როგორც სწავლების საფასური, ასევე, განესაზღვრათ საკმაოდ სოლიდური ყოველთვიური თანხა მიმდინარე ხარჯებისთვის. ფონდის მიერ გაწეულმა ამ მნიშვნელოვანმა დახმარებამ უდაოდ უნიკალური წვლილი შეიტანა ინსტიტუტის და მისი სამაგისტრო პროგრამის განვითარების ისტორიაში.

აქვე, ხაზგასმით მინდა გამოვყო კონრად ადენაუერის ფონდის სამხრეთ კავკასიის ოფისის დირექტორის მოადგილის, ბატონი ჯონათან ნოვაკისა და პროექტების მენეჯერის ქ-ნი ირინა ლაშხის წარმატებული როლი, რომლებიც დიდი ენთუზიაზმით და დაუღალავად ჩაერთენ სტიპენდიანტების გამოვლენის საკონკურსო კომისიის მუშაობაში და შრომატევადი დღეების განმავლობაში მუდმივად ჩვენს გვერდით იყვნენ.

რაც შეეხება სტატიებს, ორი მათგანი, სწორედ, კონრად ადენაუერის ფონდის სტიპენდიანტების მიერ არის მომზადებული ჩემ მიერ ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამაზე ევროკავშირის ინტეგრაციის ისტორიისა და მისი ინსტიტუტების შესახებ წაკითხული კურსის ფარგლებში. რადგან კურსის მიმდინარეობა დაემთხვა გერმანიის გაერთიანების 30 წლის იუბილეს, სტუდენტებს ამ თემაზე მცირე მოცულობის კვლევის წარმოდგენა ვთხოვე. არაჩვეულებრივად კარგ კვლევებს შორის ორი მათგანი იმდენად საინტერესო აღმოჩნდა, რომ დამსახურებულად დაიკავა ადგილი ამ გამოცემაში. ხოლო მიუხედავად იმისა, რომ მოცემული ნომრის დანარჩენი პუბლიკაციები გერმანიის გაერთიანებას არ ეხება, თავად ჟურნალის აღნიშნული გამოცემა სიმბოლურად მაინც ევროპის კონტინენტისთვის ამ ძალიან მნიშვნელოვან მოვლენას მივუძღვენით.

სხვა არანაკლებ საინტერესო სტატიების ავტორები არიან ჩვენი ინსტიტუტის სადოქტორო პროგრამის მკვლევარები, ასევე, ევროკომისიის მიერ დაფუძნებული დემოკრატიზაციისა და ადამიანის უფლებების რეგიონული სამაგისტრო პროგრამის თუ ევროპისმცოდნეობის მაგისტრატურის სტუდენტები, რომლებმაც ჩემი ან ინსტიტუტის სხვა აკადემიური პერსონალის ხელმძღვანელობით კვლევები თსუ-ში ყოფნის პერიოდში განახორციელეს.

პირველი ნომერია მას შემდეგ, რაც სამუდამოდ დაგვტოვა და მინდა, დიდი სიყვარულით გავიხსენო აკადემიკოსი პროფესორი ლევან ალექსიძე, საქართველოში საერთაშორისო სამართლის სკოლის დამფუძნებელი, აღიარებული მეცნიერი, ჩემი მასწავლებელი, უფროსი კოლეგა და ერთგული მეგობარი. მხარში მედგა ჟურნალის დაარსების მთელ პერიოდში, რადგან უპირობოდ სჯეროდა და დარწმუნებული იყო ჩემი ამ წამოწყების წარმატებაში. შეუფასებელია ის წლები, როცა თანა-რედაქტორობას დამთანხმდა და ტვირთს სიხარულით ინაწილებდა. რა თქმა უნდა, ამ დიდი ადამიანის ნდობის გამართლება რედკოლეგიის თითოეულმა წევრმა პირად ვალდებულად მივიჩნიეთ და იმავე სულისკვეთებით ვიქნებით მომავალშიც.

ბოლოსკენ, მინდა, მადლობა გადავუხადო ჩემს კოლეგებს და სტატიის ავტორებს ამ ნომრის გამოცემისთვის გაწეული დიდი შრომისთვის, ხოლო თავად ჟურნალს ბევრ დაინტერესებულ მკითხველს ვუსურვებ!

პატივისცემით,

ნინო ლაპიაშვილი
მთავარი რედაქტორი